

ԱՌԵՎԱՐԱՐ ՄԱԿԱՀՈՅԸ.

Nº 18

ଓঁ শশী মুখ্য পাত্ৰ।

წლიური ფასი სამი ბან.

ବିଜ୍ଞାନିକାଳି ମହିତ୍ସାଗ

ପରିବାର-କ୍ଷେତ୍ରଗାୟତ୍ରି ହାଜରି.

ՀՅՈՒՅՆ, ՏԵ 26 036060, ՏԵ 1911 ՊՕԲԸ.

— ၁၃၇၈ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငြန်ပါရီလ၊ ၂၅ ရက်နေ့တွင်

“ ხელის მარტენა მიღლება
ლაქციაზი, ქუთაისში
ბურთველი — კარგებელი ქართველი

ଦୟାରୁଣୀ ପ୍ରାଣ: 3 ମନ୍ତ୍ରାଳୟ: 2 ମନ୍ତ୍ରାଳୟ:
ବ୍ୟାସିକାନ ବ୍ୟାସିକାନ: 10 ମନ୍ତ୍ରାଳୟ: 2 ମନ୍ତ୍ରାଳୟ.

ଶିଳ୍ପାକ୍ଷରୀ: 1) „ନ୍ୟୁ ଗ୍ରେଟିନ୍ଡା“ ଏକିବିକିନ୍ଦ୍ରିଯିତରୀ
ନ୍ୟୁସ୍‌ଟିରକାରୀଙ୍କା. 2) ଶିଳ୍ପାକ୍ଷରୀ ମିଥିକନ୍‌ଦ୍ୱାରା ଖେଳିଲେଖାକାରୀଙ୍କା.
3) ଏକିଲେ ତ୍ର୍ୟ ଏକ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣକା 4) ହୃଦୟରୀଧାରୀ-ହୃଦୟରୀଧାରୀ
5) ପାର୍ଶ୍ଵିକ୍ଷେ ଦେଖିଲେଖାକାନ୍ତି ଯେବେଳେକାରୀଙ୍କା. 6) „ମାତ୍ରାକ୍
ରୀ ପରାମର୍ଶା“ ୦. ମରଙ୍ଗାନ୍ତାକାରୀଙ୍କା. 7) ନ୍ୟୁରକ୍ଷାତ୍ମକା. 8)
ଉଦ୍‌ବ୍ରତୀ ଏବଂ ଜ୍ୟୋତିଶାସକ ସାତାବ୍ଦୀ-ଚତୁର୍ବୀରଙ୍କ ଦେଖାକାରୀ
ଦେଖାକାରୀ ସାମାଜିକଦେଖାକାରୀ କ୍ଷେତ୍ରକାରୀଙ୍କା. 9) ହାତକ ଦୀର୍ଘବୀରୀ
ହୃଦୟକାରୀ-ଏକ ଶେଷିକ୍ଷେତ୍ର ଏକାଦାନ୍ତରୀକ୍ଷାକାରୀଙ୍କା.

„ନୀ ପାଦର ଶିଳ୍ପିଙ୍କା“.

(၅၂၆၂၈၁၄၁ၬ).

გაგრძელება*)

ამასობაში რაც ენიც დრო გადიოდა და-
შორდებოდა სახლს, იმდენად მისი შინაგანი
გადაწყვეტილება უფრო და უფრო მტკიცდე-
ბოდა, სულ უფრო და უფრო ეხატებოდა მას
სიმძიმე და უნუგეშობა თვისი მდეობარებისა,
სულ უფრო და უფრო აუკილებლად მიაჩნდა
თვისი გადაწყვეტილების აღსრულება.

* յ ո ն . „ Յ ո ն . Ա յ շ . 4 № 16.



ბოლა, სრულიად უნდა დაემარხა ყოველივე მისი აწმყო და წარსული.

მაღალი ჩაშვავებული ნაპირი გარშემორტყმულიყო გაუვალი ბუჩქნარით და ხეებით, ქვეშ წყარად, თითქო ჩაფიქრებულია, იდგა შავი უფსერული წყლისა.

დარჩენოდა მხოლოდ, უკანასკნელად შეეძლა გაკაშაშებულ მთვარისათვის, ეთეჭა უკანასკნელი „მშვიდობით“ ამ ცისათვისაც, ამ მთვარით განათლებულ მშვენიერად ამზარებულ არე-მარცსათვისაც, ამ მაღალ ნაპირისათვისაც და ამ მისთვის უდროვოდ განმზადებულ საფლავ-მდინარისათვისაც.

დვოის არსებობაზე კაბუქმა არ იცოდა რა.

ლოცვის ენა უცხო იყო მისი სულისა, გულისა და გონებისათვის.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ, კაცის ბუნება ასეთია, მას საშინლად მოუწდა ხმა მაღლა წარმოეთქვა ამ უსიტყვ-მდუმარე მაწმების წინაშე თავისი მწუხარება, თავისი დაუსრულებელი დარღი, ავისი სიკვდილის წინამორბედი ურვა.

ის უმწეოდ დაშვა მუხლის თავებზე, მიიფარა პირზე ხელები და უხმოდ, გულ ამოსკვნით დაიწყო ტარილი.

როცა უკანასკნელი ცრემლი მოიწურა, ის აღვა, მივიდა დაშვავებულ ნაპირზე, გაიკნია ხელები და ის-ის იყო უნდა გადავარ-დნილიყო თავის უდროვოდ დასახულ საფლავის ცივ წილში, რომ თავზარ დაკემლი გაჩერდა, იგრძნო რა თავის მხარზე ვიღაც უცნობის ხელი და ამის შემდგომ წყნარი, მშეოდი, დამამშეიდებელი ხმა: „შვილო ჩემო, შეჩერდი, ნუ გამიჯავრდები, ხელი რომ შეგიშალე“.

„უკელის აქვს ცხოვრებაში თავისი დანიშნულება, თავისი მოვალეობა. მე ვხედავ, რაც გინდოდა გიქმნა; მე არ დაგიშერ და ხელს არ შეგიშლი, მე მხოლოდ გთხოვ, მჩხეკე ერთი წუთი დრო, მესაუბრე, და გამოირკვი, სანაბ ამ უკანასკნელ ნაბიჯს გადისდგამდე, იქნებ შენ არ გქონდეს იღსრულებული ყოველივე შენი

დანიშნულება.

კაბუქმა მოიხედა.

მის წინ იდგა მაღალი, გამხდარი ბერი.

ჩაცვინულმა ლოკებმა, თეთრი წვერით დაფარულმა და კეთილი ცისუერ თვალების ნათელმა ბავშურმა მოსცვარულე მხედველობამ მიიჩიდა ამ საცოდავი კაბუკის ყურალება.

მრავალგვარ მძიმე ზნეობრივ ტანჯვის შემდეგ კაბუქმა პირველად გაიგონა კეთილი, თანამერმნობი სიტყვა, როგორც უმწეო ბავში ის ჩამოვედა ბერის მხარს და თვითოვეულად დაუფარავათ უამბო მას ყოველივე, რაც კი შემთხვევია თავის ტვირთ-მძიმე და მტანჯველ ცხოვრების განმავლობაში.

კეთილმსახურმა მოხუცმა მოთმინებით და თანამერმნობით მოსმინა კაბუკის აღსარება და ბოლოს კითხა მას,— ჩომელი სარწმუნოებისა არის იგი?

კაბუქმა გაკვირვებით გაიქნია თავი და უთხრა, რომ მან არავითარი სარწმუნოება არ იცის და არავითარ რჯულს არ ეკუთნის.

— ჩემი ლმერთი,— დაუმატა კაბუქმა,— ჩემი სინიდისია; ასე მასწავლიდნენ მე ჩემი მშობლები, და ეს ჩემთვის არასოდეს არ არის სანანებელი.

— კარგი, მიუგო ბერმა, მავრამ ვიზე ამყარებ შენ იმედს?

— ჩემ საკუთარ ძალაზე.

— აბა კარგი, ჩემი მეგობარო, მითხარი მე, რას გასწავლის შენ შენი პიროვნული რწმენა, როგორ უნდა შეხედო ცხოვრებას?

— ცხოვრება?.. ცოტა დაფიქრების შემდგომ მიუგო კაბუქმა, ცხოვრება, ცხოვრება... არის ბრძოლა.

— ი ამახედ შეგაჩერეა მე შენ, ჩემთ შეგობარო, რომ გიჩენო შენ ყოველივე შენი შეცდომილება. რაკი ცხოვრება—ბრძოლაა, მაგ რისთვის სტიროდი შენ ამ საათში? ყოველი ბრძოლის განმასხვაბელი თვისებანი ისეთია, რომ ერთი მხერე უნდა იქმნეს გამარჯვებული, მეორე კი დამარტებული. ხომ მართალს ვამბობ?

— მართალს იმბობ, უპასუხა კაბუქმა.

— ხოლო რადგანაც ცხოვრებას ყოველ-

თვის უზომოდ მეტი იარაღი აქვს ბრძოლის-თვის, განაგრძო ბერმა, ისეთ სუსტ არსებასთან, როგორიც არის კაცი; მის განკარგულებაშია ყოველივე ბუნების ფარული და ცხადი ძალები; მის უფლებაშია შენი ერთად ერთი, შენი ერთგული ზეობარი, შენი საკუთარი სხეული, რომლის საშვალებითაც ის დაბოლოებით გძლვს შენ, შენ სულიერ „მე“-ს; მაში, თვის თავიდ იგულისხმება, რომ კაცი ყოველთვის უნდა იქმნეს დამარცხებულ მდგომარეობაში და ადრე თუ გვიან უნდა მივიდეს იმ ნაპირთან, იმ დასარულთან, რომლის მახლობლად ვდგევართ ეხლა მე და შენ.

მაგრამ, შეხედე, ბევრი კაცი განაგრძობს ცხოვებას; ცოცხლობენ ლრმა მოხუცებულობამდი და მშვიდობით ათავებენ თავიანთ ცხოვების გზას. და აი, ჩემი ძვირფასო მე-გლბარო, ჩემი რჩევა ეს არის: შენ ცოტა გი-ცოვრია ქვეყანაზე; ცოტა ადამიანები გინახავს; სანამ ას ადრე თავის თავს შერაცხედ დამარცხებულად, წალი, გაიარ-გამოიარე ქვეყანაზე, გაეტან-გამოეტანი კაცებს, და, შეიძლება, მოსხებნო რამე საშვალება, რომ თავი დაალწიო ასეთ შენ მდგომარეობას. და თუ ვერაფერს ვერ იპოვი შენ, მაშინ მოდი ამ ადგილას, მე ერთხელ კიდევ მოგელაპარაკები და მაშინ კი ალარულე ის, რასაც ფიქრობ.

მოხუცის კეთილმა სიტყვებმა ნოყიერი ნიადაგი იპოვა ჭაბუკი გამოეთხოვ მას და, განშორდა რა იმ საბედისწერო ნაპას, დაადგა იმ ბილიქს, რომელიც უჩვენა მას მოხუცია ბერმა, და გაუდგა გზას.

ბევრი იმოგზაურა ქვეყანაზე სიმართლის და კეშმარიტების მძებნელმა, ჩვენი მოთხოვბას გმირმა.

ის ყოველ ქვეყანაში იყო.

გადაშორდა სხვა და სხვა რჯული, სარწმუნოება, მწვალებლობა.

გაეცნო ის იმ კაცებს, რომელიც ნუგეშ გძებლენ სხვა და სხვა ფილოსოფიურ სწავლაში, გაშინჯა მან უკვე ყოველ გვარი კაცობრიობის მიერ შემუშავებული სიტყბოება, ხილულ

ცხოვრებასთან ბრძოლისაგან განშორება.

მის თვალებს ეჩვენეოდა, რომ ყოველივე კარგად მიდის, მაგრამ მერმე ერთბაშად ჩავრდა კაცი მძიმე სისოწარებელებაში, როგორც გაზმა, მოუჭირა მას რაღაცამ გულზე, როგორც ცეცხლის ალი ისე შემოენოო რაღაც მის სულს, სულ უფრო და უფრო ეხუთებოდა სული და ძლიერ სუნთქვდა. და კაცი უსწორო ბრძოლაში რაღაც საშინელ გასზედ მიწევნილ ძალასთან, ეძებს თავისთვის, როგორც წინაშე ის თვითონ, კაცთა მხედველობისაგან განცალკევებულ ადგილს დამარცხო ჩამოშვებულ ნაპირით, რომლის იქით წყნარი და სუგის უფსკრული, რომელშია ზნებრივად და ფაზიკურად შეიძლება მოსხობა სიცოცხლისა ხელიახლა სისოწარებელებამ შეიძრო ჩვენი მკვლევარი და ის კილვაც გაემართა რაოდენიმე ათა წლის წინედ მის მიერ აღრჩეულ ადგილისაკენ და უნდოდა მხლობ შეხვედროდა იმ მოხუცს, შეეწილა მისთვის, რომ მან მრავალნი წელნი განაშორა ის იმ გადაწყვეტილ ნაბიჯისაგან, რომელთანაც ის ხელიახლი და მიდის ახლა.

მან უკვე ბევრი გზა გაიარა; სჩანდა აი, ეს ეს იყო, და მილე დაინახავდა დიდი ხნიდან სასურველ ტყეს, ნაპირსაც და მდინარესაც, როცა უეცრად მისი მხედველობის ურადღება მიიქცა მტაცებელ მფრინველთა გუნდმა, რომელიც ერთ ადგილს ხან აფრინ დებოდა და ხან დაეშვებოდა.

ამ გარემოებამ ის ძლიერ დააინტერესა.

მან გადასწყვიტა ცოტა მიეცვია იქიმ კუნძული, რა იზიდავდა უგრე ამ ფრთასნებს.

ალბად, იფიქრა მან, უკანასკნელი სამკვდრო-სისიცოცხლო ბრძოლაა სუსტი ადამიანისა ბუნების შეუბრალებელ ძალებთან.

შეიძლება ეს უკანასკნელი ხილვა ჩემ ცხოვრების გზაზე, მეტი რომ არ შეიძლება ისე კარგად დაამტკიცებს ჩემი აზრის სინაზღველებს, რომ ცხოვრება არის ბრძოლა, უმიზნო, უთავებოლო, სულელური ბრძოლა და ცოტად თუ ბევრად გონიერი კაცი ამ ბრძოლას არ უნდა ეწეოდეს.

გაგრამ მას შემოესმა მოხუცის სუტი ხმა და მან ძლიერ გარჩია გალობის ხმა რაღაც მისოვის გაუგებარ სიტყვებით.

კნობის მოყვარეობამ კიდევ უფრო შეიძყრო ის, მან ფეხს მოუჩეარა და ამ მიუახლოედა კიდევ.

და მან ცხადად გიგონა მოხუცის აკანკალებული ხმა, როგორ გამოთქმადა სიტყვებს და გალობდა: „უფალმან მწყსოს მე, ვისა მეშინოდეს.“

კიდევ გადაადგა რავლენიმე ნაბიჯი, და ის გჩერდა, როგორც დასობილი სარი.

მზის მწვავე სხივებით გახურებულ ქვიშახე იწვა დაწყლულებული სრულიად გამოშვლებული მიხრწნილი მოხუცი, ხოლო მის გარშემო მახლობლად ისხდნენ მტაცებელნი ფრთხოსნები და თვალ გამჭრიახობით ულოდნებლნენ იმ წუთს, როდესაც დიხუჭებიან ეს სიკოცხლით სავსე თვალები, გაიშლართება უსისხლო სხეული და ისინი იწყებენ სულის და გულის შემთხვევა საუზმის კამას.

მეზაერმა ორო თავის ჯოხი და საჩქროდ მიუახლოვდა ამ მომაკვდავ მოხუცს.

უკმაყოფილო ჩხივილ-ხევილ-განგაშით აიშალნენ ადგილიდგან გათმამებულნი მძორის მოყვარულნი, ხოლო საცოდავ ტანჯულ მოხუცმა მხიარულად გაახილა თვალები და წარმოსთვეა:

„ამა. არ, შენც მოხვედი. შენ ყოველთვის მოდიოდი ჩემთან, მისუსტებული ხმით უთხრა მან გოცებულ მგზავრს,—როცა ჩემთვის საჭირო იყო შენი შემზეობა. მოხვედი ჩემთან ახლაც. მეც ვიცოდი, რომ შენ მოხვიდოდი ჩემთან, ვინაიდგან შენ სისწორით არულებ შენ აღთქმას.

არჩემანდროტი ნესტორ.

(შემდეგი იქნება).



შინაური მიმოხილვა.

ეს მდგომარე წლის 3 იქნის დასრულდა ქ. ქუთაისში მინალოების სათავაღაზნაურო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება და ამ ბანკის 35 წლის მოქმედების განმავლობაში ძლიერ პირველად გაიმარჯვა თბოზიციამ ეს ამბავი ფრიად საყურადღებოა და მინდა გახდეს იგი ამ ჩემი სტატიის საგანი.

1875 წ. თფილისში და 1876 წ. ქუთაის-შიაც თავად-აზნაურობამ დაა-სა საადგილ-მამულო ბანკები ყმების გათავისულებაში აღმული ფულების ნაწილიდ ნ. ეს ბანკები ძალიან დიდი საქვეყნო, სასაჩვენო აზრით იყო დაასებული. ადგილ-მამულის ბანკები დაკირავებით მემამულე დაქვეით-ბულს ჯვახს ფეხზე წამოაყენებდა, ქალიშვილებს დაათხოვებდა, თუ ვაჟი-შვილებს გამოზრდიდა, ამით იგი ვაკენირებულს ეხმარებოდა ხომ. მაგრამ ბანკი ამას გარდა დიდი საქვეყნო საქმესაც უძლევდოდა. ბანკის წმინდა მოგება საზოგადო საქმე—მოზარდი თაობის აღზრდას ხმარდებოდა. და ეს იყო ისეთი საქმე, რომლითაც ყოველი შეგნებული ქართველი უნდა დაინტერესებულიყო, განკურჩევლად წოდებისა, მიმართულ-ბოსა და სქესისა.

ამიტომაც, ინტელიგენცია გულ-მხურვალედ და მღვაძარებით ჩაერია ამ ხაქეში და გულით მოწარინებული იყო შესვეურობა გაეწია იმისოვის. ქუთაისის გინაილოვის ბანკის დამარასებლით ითველება განსვენებული ბესარიონ ლორდების, რომელიც შეექნა ამ ბანკის გამგეობრის თავმჯდომარე ისე, როგორც თფილისის ბანკისა—ილია ქავეკავედე. მაშინდელი ახალი თაობა, რომელსაც მეთაურობდა უნივერსიტეტის დეკანი ნ. ნიკოლაძე, ამ ეთანხმებოდა ამ თრი დასახელებულს მოღვაწეს ბევრს ფინანსის და კუნძულის საკითხებზე. შედა და საადგილ-მამულო ბანკების შესახებაც

ამას წერდა: ახლად დაარსებული ბანკების წეს-დება პირ წმინდად გაღმოწერილია ხერსონის ბანკის წესდებილან და ჩვენს ცხოვრებაზე სრულიად შეუფერებლიათ. ჩვენ ბანკის წესდება ისე უნდა შევცვლოთ, რომ თუ მსესხებელ მემამულეს—თავადს ან აზნაურს დაგირავებული მიწა-წყალი ხელიდან წალვიდა, ეგ მამული ისევ ქართველი გლეხის ხელში გადავიდეს, რომელიც მიწას თავის დღეში არ დაკარგიას... .

ასტუდა დიდი პოლემიჭა, რომელიც კინა-ლამ ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ნიკოლაძის, ამ თრი საინჯალულო ქართველის შორის დუელით არ გათავდა. ბოლოს, მანიც ილიას და ბეს. ლოლობერიძის პროგრამამ გაიმარჯვა და ამას, აი, რა შედეგი მოყვა: ბანკიდან ფულის გამოანი, მსესხებელი მემამულე თანდათან კარგავს მაცულს, გლეხიც ვერაფეხს იძენს და ბანკის ამ უკანასკნელ დროს წმინდა მოგებაც აღარაფერი ჩება. ამან ჩააგდო ქუთაისის ბანკის საადგილ-მამულო პოლიტიკა რეცვაში და სწავლა-განათლების საქმეც დიდი განსაკულებაში...

ბეს. ლოლობერიძის გარდაცვალების შემ-დეგ მისი ადგილი ნიკოლოზ ლოლობერიძის დაპირია, რომელსაც ოპოზიცია ცხარედ ებრძოდა. იმ ხანებში აქ პირველად დაარსდა საუკეთესო ყოველ-კვირული გაზეთი „შრომა“ დიმიტრი დადიანის რედაკტორობით, რომელ-საც მე, როგორც თანამშრომელი მისი გაზეთისა ახლო ვიწოდდი. დიმიტრი დადიანი აირჩიეს. ლოლობერიძის ადგილზე, მაგრამ იგი აეთ-მყოფი კაციც იყო და მაღლე კალისტრატე ჩი-კვაიძემ დაამარცხა. შეიქნა მრაჩეველების გულის მოსაგები ჩვენებული „ვარხხალალი“ და მთლიად საადგილ-მამულო პოლიტიკა სრული-ად საპირადო გახდა... თვილი მოვარიცოთ ამ ხანას... უმცველესი რომ ამ გარემოებამ ქუთაისის ბანკი ბ. მ. მელნიკოვ-ერემევის რე-გიმაზი მიიყვანა.

1908 წელს მიხაილოვის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებამ აირჩია ხუთი კიცისგან შემდგარი კამისია, რო-მელსაც დავალებული წმინდა ბანკშე დარჩე-

ნილ მამულების საქმის გამორკვევა და ბალან-სის განხილვა.

კამისიამ დიდი გულმოლებით და სინიდისისერი დაკვირვებით გამოარკვია საქმის მოელი წარმოება, თფილისის განცოფილების მოქმედების შეუფერებლობა ბანკის ინტერე-სებთან, თფილისში მდებარე გამულების მარ-თველის, კომისიისაც სიტყვით, ა. გ. ერისთა-ვის მოქმედებას, სანამ იგი მოურავათ იყო თფილისში, სულ ერთინად თვითნებობის ხა-სიათი ქონდა¹⁾. “ ბათუმის მამულების გამგებ-ლობაშიაც ისეთივე უთაურობა აღმოაჩინა, როგორც თფილისისაში. ასეთივე დაუდევრო-ბა აღმოჩნდა ქუთაისისა და სოფლის მამულე-ბის გამგებლობაშიაც, დამფასებელთა მოქმე-დებაშიაც, ავანსებისა და დებიტორთა ანგა-რიშებშიაც, მსესხებლებისთვის შეუფერებელი სესხი უძლევებათ, ბანკშე დარჩენლ მამულები დროზე არ იძარებდენ და შემოსავალი ძევლ მესაკუთრეს მიქონდა, ბანკი კი იხდიდა სესხს, ბუჟხალტერია არ ყოფილი მოწესრიგე-ბული და სხვ. ერთი სიტყვით, კამისიის მიერ დასტამბული მოხსენება რომ წივიკითხე ქარ-თულ ენაზე, სრულიად გავშტერდი და აფირე. ვერ წარმოიდგენდა კაცი ამაზედ უარეს აწერილ-დაწერილ საქმეებს და ბანკისთვის აშკარად დასა-ღუპავ მოქმედებას.

მოსალოდნელი იყო, რომ ქართული პრე-სა ბანკის ასეთი უბედურებით ამლელვარებული, პარიალებული ერთს უშველებელს ქარტებილს ასტებდა მეოთხეველ საზოგადოებაში, მაგრამ ასე სამარცხენოთ, როგორც შარშინ წინ მოი-კია პრესა, არას დროს არ მოქცეულა იგო-და რატომ მერჩე შარშინდელ ქუთათურ გა-ზეთს „ფონს“ კითხეთ—რატომ? მე კი გამან-თავის უფლება... ამ ისტორიის მოთხრობიდან.

უნდა ვთქვა აქვე, ბარემ, ისიც, რომ ბან-კის რწმუნებულთა კრებაც ვერ მოიქცა მაშინ პატიოსნაც, რომ თვისი გულის წყრომა და აღშეფითება არ გამოსთვევა ვაუკაცირად გამო-

1) იხ. „მოხსენება“ კომისიისა, ပალკ წიგნ-კად არის დასტამბული.

თშეარავებული ამბების გამო, არ დაგმო დასა-
გმობი და მთელი კამისიის სამაგალითო მო-
ხსენ ება... მიაფუჩება. ზარშანწინვე კამისიის
წევრებიდან ორი ზედამხედველ კამიტეტის
წევრებათ აირჩიეს და ამიერილან ზედამხედველი
კამიტეტი შეიქნა თპოზიციის მეთაური. უნდა
სიმართლე ვთქვათ, რომ ასეთი შეიარაღებული
დასაბუთებული ცულნით და ფაქტებით ბანკის
თპოზიციი არა ცრის არ ყოფილა ჩვენში,
და ამან მიანიჭა სწორედ მას წრეულს გამარ-
ჯვება²⁾, და არა იმზ., რომ თ. დავით ოტიას
ძე ნაჯარაძე არ ბრძანდებოდა აქ და ქუთაისში
„კოლხიდა“ გამოლიოდა. ამას იტყვის მხოლოდ
სრულიად გამოუტყელი და ეფექტების მო-
ყვარული ადამიანი. ჩვენი ხალხი კარგად ხე-
დავს ავს და კარგს. როცა მას დაუმტკიცე-
ბენ, ორჯერ ორი თხისა, ის უგანაჩენ ით
ყვირილს არ დაწყებს არა ორჯერ ორი თხი
კი არა, კარტოფილის სანთელიათ.

დიაბ! თპოზიციაში გაიმარჯვა და ეს მო-
ძისწავებელია იმის, რომ ამდენი ხნის ბანკის
მოქმედებაში ძლიერ იწყება ახალი ხანა...

მაგრამ სრულ გამარჯვებამდი ჯერ ხომ
შორს არის. სწორეთ აწი უნდა დაუძინებელი,
მლეინარებით სისე მუშაობა და დიდი მარაგი.
მოგეხსენებათ, წამხდარი საქმის გამოსწორება
რა ძნელია. ამიტომ ყველა გულწრფელად უნ-
და შეერთდეს, ვისაც ბანკის განახლება სწყუ-
რია, გაამნეოს ახალი კაცები მუდამ გვერდში
ამოდგომით და მათთვის მუშაობით, რომ შე-
ქნან ახალი სასიარულო გზა, წნარ კვალის-
გან სრულიად გასწორილონ ეს გზა, რომ ქუთა-
ისის საადგილ-მამულონ ბანკი ამიერილან ერთ
დიდ სასიხელო კულტურულ და განმანათლე-
ბელ ფაქტორად შექმნან ჩვენს გატილებულ
ცხოვრებაში.

ხომლელი.

²⁾ მანქ ამ გამარჯვებისა ვერ გამოგია ერთი რამ
რა ონების ძალით დარჩა „შრატს გარეთ“ ამ ბანკის
ერთი პაროსტანი და გამოუდილი დამფასებელი მ. ა.
ლევაბუაძე?



არის თუ არა პროგრესი?

ვინ იტყვის პროგრესი, რეგრესი თუ
პროგრესი მდგრადი ისტორიაში? პროგრესის
მომსრული გამასტანი, რომ ჩვენ უფრო განვითნიდ
გართ და უფრო კანათლებულნიც, ვიდრე ჩვენი
მამა-პაპისი იუვნენო. და ათასობით ადამიანები,
რომელთაც არ იციან ისტორია, და ამიტომ არ
შეუძლიათ დასდგნონ მას განონერთ მსჯავრი,
უფერებელ იმათ. არც გასაკეთებულია—თავის არ-
სებობის უგადე საფეხურზე კაცობრითისა უგად-
ოვის აზეადებდა თანადროს და ამცირებდა გარ-
დასულს.

მაგრამ ბეკრი უფრო შეგნებული და მაუ-
დგომელი პირები ჰგრძნებენ, რომ კეშმარიც პრო-
გრესით ჩვენ შორს არ წავსულვართ. მათ გედათ
იმისა, რომ ჩვენ გვაჩის რეინის გზები, რომელ-
მაგალიბი, ტელეფონი, ტელეგრაფი, წარა-ჭეშ მა-
გადი საკედი და მანქანები, მანქ არ დამგვიღე-
ბულა სალით შორის კეთილდღებისა და მშეიდო-
ბა, და არც ასეთ მომავალში გვაძლიან დამკიც-
რებას. სახელმწიფოებრივა უფლება, პოლიტიკა
და კანონ-მდებლობა განუწევერილი იქმნიან კა-
მარჯვებას, ხოლო მსარ და მსარ იზრდება რიც-
ხეო დანაშაულობათა. სამეცნიერო მეცნიერება თი-
თშის უველდე დღესასწაულობს ახალ-ახალ გა-
მოგონების გამო, რომდებად ახალ მომავალის
გაფარიზან ადამიანის სიცოცხლის უფრო მეტ ხან-
გრძლებისას, კადრე დღე არის; პედაგოგიკა
დღით-დღე მდიდრდება სულ ახალ-ახალი თეო-
რიებით, და, ძიებედავთ ამისა, სულ უფრო და
უფრო უზიკან ხერასტენიას, ახალ მხედვებო-
ბას, სასხლ ხაგლებობას, სისესტემას, სიცო-
ცხლის ხანგრძლივობას თანდასიან კლებას,
ახალგაზედების ზნედაცემულობას, რომელთა შო-
რის რიცხვი დასაშუალობათა თანდათან მატუ-
ლობას. ჩვენ ჰქონია საუკუნეში, როცა პან თუ
მხოლოდ გატა, არამედ ცხოველთა თეორიისაც სხვა
და სხვა მუშავედ საზოგადოებრივა არსებობს,

— ტექსტის ფონი —

იგონებენ თავის გამანადგურებლობით საშინელ აარადებს და უკმარებს: ასე რომ ახლობელ სერი-ოზედ ღმიში ამ არადების საშეაღებით დახხო-ტება არა ასი და ათასი კაცი, არამედ ასი ათასი და მეტიც, ამასთან, როგორც საქციალისტები ირწმუნებან დაჭრილთა რიცხვი იძლენი იქნება, რომ მათი მოვალა-პატრონობა, უკალად შეუძლე-ბედი გასდება.

ერთი სიტყვით, თანამედროვე კაცობრიობას ში რომელიც ერთი შეხედულობით შესტკისუფლდა საშეაღო საუკარისო ცრუ მორწმუნობის მარგნებებისა და დაბადება შროგრესისა და განათლების გზას, უფრო და უფრო იზრდება რიცხვი უკმატივდოთა, დამსაშავეთა, სეუსტი ჭევის მატრონთა და თვითმეტყველობათა. რა უცნაური წინააღმდეგობა! რა საკოდავი შრო-გრებია!

წინააღმდება, რამდენათაც გიცით, უპიტრელები 4000 წლის წინეთ თუ უკათესით არა ისე-თივე სისაღით სარგებლობდენ, როგორც ჩეენ; უცნები ფოთუავებით მოაზრენი, ბრძენი რჩევის მიცემაში, მაგრინი ოშმი; უყვარდათ, როგორც ჩეენ, ტებილათ სმაჟანის, ჭრილდათ ბრძნელი კანო-ნები და ზენებრივი შრინციპები, ცოდნენ შეი-ლების კარგათ ადზრდა, აფასებდენ ბირად თავია-სუფლებს, უყვარდათ და სმულდათ,—ერთი სი-ტყვით ცხოვრობდენ. და კვდებოდენ ხწორეთ ისე, როგორც ჩეენ.

და რომ ძეგლ ნამთებში ამოვივითხოთ კა-ცობრიობის მაშინდედა საქმენი და მაისწავებანი, ჩეენ არ შეგვიძლია კანცვიფებით¹⁾ არ წამოვიძ-ხოთ: „Toute comme chez nous!“ ადამიანი ყო-ველოვის აუთ და დასხება დამახად. 4000 წლის წინეთ კვაპტელ დედის სწორეთ, ისე უყვარდა თავისი შეიოლი და მამარტვენებით იმით, როგორც დღის მაღილი წოდების მინდილობას, ას უბრა-ლო დღიურ მუქა დედაგაცის. ასაღვაზდება როგორც ახლა, მაშინაც ენერგიით საკ'ე, მკვირცხლინ, ცხო-ვრების შემხარენი იყენენ, ხოდო მოხერხი უგამი, აჭვიანი და კუჭღურანი. იყენენ კვალი შობილნიც, და სულმდავნიც, გენისტებიც და შეასრულება უკალა ხალხების გულტურეულ მდგრადირობისა, ულევი დროისთვის თითქმის ერთი და ივივე რჩება.

მაინთმეცვენ, ხოდო ჩეენ სიზიღადის; იგინი კაპრის დფიხის, სმიდენ ხოდო ჩეენ შემპანიურის; იგინი ცირკმ დადათვდენ, ხოდო ჩეენ თეატრში; იგინი ცხოვრობდენ სხვა არსიტეტურის შენო-ბებში და ჩეენ სხვში; იგინი ფორუმზე იკრ-ბებოდენ, ხოდო ჩეენ ბირებზე და სხ. და სხ?! „არა არის არ ასდილ ცასებაშე“, სოჭა სოლომო-ნია. არსება ურაველოვის იგივე რჩება, იცვლება მხოდოდ ფორმა, და ისიც იკრე ძალის არა.

იმის უარის კურავის იტევის, რომ დღეან-დელი კუროპაელი გარეგანი კულტურით უფრო მაღლა დგანან, კიდრე, კოჭკათ, კუროპაელი მე-თე საუკუნის, მაგრამ იმავე დროს ურველი მთა-ზე რამდენიმეთ მაინრ უცნაურათ შერაცხას რა-იმე საზოგადო ჭასკების; შედგნას ციკადიზა-ციის თობაზე, სანამ არ შეაძრებს ძეგლი სლო-გნების, გერმანების. გაღდების და ინგლო-საქების ცივილიზაციას ეხლანდელ დროში და ამა-კე დროს უკადების; არ მაჭუქეს იმ ხალხების ცივილიზაციას, რომელიც მათი თანამედროვენია იყენენ. კერძო ხალხები კითარდებან, რომლები-მეო იმარჯვებენ, მაგრამ არ შეიძლება იოქეს რომ მთელმა კაცობრიობამ დღეს, მოუღივე კაცო-ბრიობის შედარებით, რომელიც ცხოვრობდა 1000 ას მეტი წლის წინეთ, დადი ნაძევი გადსხდა წინ კულტურული მხრით.

როგორც დღეს მაღალ კულტურულ ხალხებ-თან ერთო იპოქიან კულური აფრიკაში, ახალ ზელანდიაში და ავსტრალიაში, აგრეთვე ადრეგენ სხვა და სხვა თანამედროვე სახელმწიფოები სეულ სხვა და სხვა განვითარების საფახულზე იდგენ და საშედლი რიცხვი, მაჩვენებელი უკალა ხალხების კულტურეულ მდგრადირობისა, ულევი დროისთვის თითქმის ერთი და ივივე რჩება.

გხახოთ ეხლავე, რამდენით ამართლებს ის- ტორია ჩეენს; ასეთ მოსაზრებას. ამ რას კველ-პარაგება იგი ჩეენ: რამოდენიმე საუკუნის წინეთ, როცა გელვატება კიდევ სხეულის შენობებში ცხო-ვრობდენ, თბილის, მემფისის, ბაბილონის და ნინ-ვის, ტირისას და კართაგენის ციკადიზაციაში მარწინებელი. არსებოთია გხა, რომ იგინი გარუშს

¹⁾ სწორეთ კოლოეგირი ისეა, როგორც ჩეენ ტროში.

თუ შემდო ჩენია თანამედროვე ციფილიზაციის მოცილეობა, არმედ თკის მოხერხებულობით და ცხრილებისთან შეტყუდობით თათოქმის სჭარ- ბობდა მას.

რეალი გერმანელები ჯერ კიდევ დათვის ტუავში იძისებოდები და ძრივს თუ უკეთეს პი- რობებით ცხრილების ესანდედ ახალ ზედან- დის მცხოვრებლებზე, განას დადი სინით აღრე მათზე ეგვიპტეში მოიპოვოდენ საინუქრო ხე- ლოვების და ხუროთ მოძღვრების ისეთი შედევ- რები, როგორიც არან პირტმიდები, დადგებული ტაძრები და ბრწყინვალე სასახლეები, ვეგერთელა ხელოვანებით ტბა მოედი მოსარწყავ არსების ბადით და სხ. და სხ. მდ. ფფრატეს პირზე უბბი გაშე- ნებული იყო დადგებული ბაბილონი თაგის დაგიდებულ ბადით,— რომელთა მოწევა მოითხოვდა გადრო- ტეხნიკის და ცოდნას, თავის დადგებულ ტაძრე- ბით და ოქროსა ნიშანს მეტებოდათ, შეა- გულ კუშკით, რომელიც სიმაღლით 85 საუენს ადგიუსტრდა და ქალაქის გედლებით, რომელიც სისქო 50 წერთა იყო.

ესე გარეშე ბაბილონი გაშენებული იყო უფრო ხელოვანებით და პლასტმებრ, კიდრე თა სამედროვე ბერლინი, კენა, პარიზი და ლონდონი მთი ტაღასანი და უაგად სტილი, მკლებელი წა- ნა ადგიუსტით (predmetstia).

როცა ამ ქალაქის აღწერილობას კითხედობ გერმანელის ნაწერებში, რომელიც, (გერმანელი) მიღებულია, როგორიც სინამდებისი, მწერალი, თავისითავათ გასაკეთი სხეულის ნიშექოდორის სტრიქით: უგანა ეს არ არის დადგებული ბაბილონი, რომელიც მე ადგაშენ საკუთარი ძაღლით და ჩემი ძღიურებას სადადგებულია!

გადადები ჯერ კიდევ რესას და ცხენის ხორცის სჭარმებს, როცა მრავალი წელი წარი მე- ფე აგასუერი, ას თან პროვინციის მირმანებელი, სადამებს მართავდა, რომლებიც გრძელდებოდა 180 ღეგ; იმ დაბაზებში, სადაც ეს ნადიმები იმართებოდნ მარმარილის ქვის სკელეს მაკრელ თქრო-ურცხილის რგოლებზე ეგიდა ძვირდასა სუ- ფთა ხელობის აძრებების ფარდები ბისისონის და მიღდაშის უკითხებით. დგინდ მოქმედდათ თქროს გურგებით და უხევთ, როგორც შემფერება მე-

ფის ნადიმის, და სკამდენ მას ძალდა უტახებდათ.

ასეთი ნადიმი იაგისუფლით შეკვიდლის შე- ვადროთ თანამედროვე ბრწყინვალე ბადების და ბან- გეტების, ას უფრო მართალი რომ ვსითქვათ, თა- ვის ბრწყინვალებით და სიმღიღრით იგი იმდენათ მეტობს მათ, რომენათაც დაზებულა ტიტები და სასახლეები სენახისისა, ასერახისადისა და სარგონისა თავის 70 დარბაზით, კეპერთელი პი- ლონებით, ჩამწერივებულ ბარელუფნურ მორთუ- ლობით ღღმატებას, ზოგიერთ შემთხვევების გა- მოკვებით, ჩენია დროის მონარქების სასახლეებს.

მდინარე სენის საპირები, სადაც დღეს ამპარ- ტავინი საფრანგეთის სარასტო ჰალახია დაშენე- ბული, წარმოადგინდნ ჯერ კიდევ ქაის ნაკახით შეარადგებულ კელურებით დასახლებულ უდაბურ ჭაბიან ტემპის, ხოდი რამოდენიმე ასი წლის წინეთ ჩინეთის გრაფიკულ მრაცხელს ტზენ- კონგს გამოაჩინებული ჰქონდა კედიაზრის ს. მ. რ. უ. = 23°54'2" (ჩენია დროის კარსკვლაკო მრაცხელების ინგარიშთ = 23°27'2") და ნინ- კაშში შეგვა ასეუბოდა საზოგადო წიგნი-საცავ- სამეცითხელო, როგორც ეს სხისა! სარგონის ხა- ნის მეცა ხელონაწერებიდამ, საიდგანაც შესაძლე- ბელი იყო მეცნიერები ნაწერებით სარგებლობა, თუ კა შენ სახელის, გვარის და ბინას მეტობი- ნებით ბიბლიოთების გამგებების.

გენეზიოსტრია და გორგასტრის დროს დღეან- დები განათლებული ზეგაოსნები "ჯერ კიდევ ბარბარისები იყენებ და დაცურავებენ ზეგაში პარ- ველ უოფილ ტირაფის წნევებიდნ დაწეულს და ცენის ტევაშითხელები ხავებოთ, ხოდი მეტი საუკუნის წინ ამპარტავინი ტირასი შეგა ზღვის მეფეთ ირიცხებოდა, მისი კაშტე- თავადებიერი ცხოვოდებენ და ისე ათმაშებულ მიღიონებს, როგორც დღეს რომელიც ამერიკელი კერზი. მა- თა მშენივრათ მოწერილი გაღერები მიმდავი- ლოდენ ზღვებში და გამოკეთდათ ნინებიდან იმოდენ ვერცხლი, რომ მისგან ხამაღლის ღუ- ზებისაც კა ვერთებდენ; გამოკეთდათ გრძელებ ბრი- ტანიისან კადა, კანაგისერგადნ ქარე, ინდოეთა- დან მამუნებით და ფარმაკებით.

და ეს ხადხები არ შეადგანდენ გამოსკვლას. რა ზომამდე მიადგინეს, მაგალითად, ბერძნებმა არ-

ხილუეტურაში და რამდენათ გვეობით სკულპტურაში, — საზოგადო ცხობილი ფექტი: ჩეენა ბალები და სისახლეები დღესაც მათი სედოვნერი ნაწარმოებით გადაუცილები. აგრეთვე ტექანიკა მათში, როგორც ეს ახლა დამტკიცებულია, მუსიკა და მხატვრობა. 2000 წლის წინეთ დაწერილ სურათთა მორით, მთაბეჭდების ისეთებიც: რამდენიც სახელი მოუკეთდეს წერი თანამედროვე მხატვრისაც კა: ასეთი, მაგალითთა მთაბეჭდის თან ისეთი გამოს მეტყველი და სიცოცხლის საჯეს აკადემიათ, რომლის უკეთესის მეორი კერძო თეოთ დემახია და სწერდა. ქ. დელფიში ნაპონ აპოლონის ჭიმზე კრთი შტატგარტედი მცოდე ამბობს: „გრძნობის სიღრმით და მუსიკის თავისებურობით, ეს ჭიმზი სწორეთ შესანიშნავა. თერენ გესმისით საიდგანდაც მომავალი სადღესასწაული ხმები, რომელიც თავის აღტეინებული ხასიათით დღესაც გმოლიგრძელებულით აღავხებას ადამიანის გუდს.“ ეს ჭიმზი მომმისს ძეველ ბერძნებდ მუსიკის უმაღლეს მხატვრულ მნიშვნელობაზე და აპიტომ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ბ. ბ. რეიმანის აზრის, რომელიც ძლიერ მაღლა აუგნებს ძეველ ბერძნებდ მუსიკას; არ შეგვიძლა არ დავეთანხმოთ ფრანგ კრატიფისებს, რომლებმაც გაგნერისებური მუსიკა ჭიმებს იმში.

ამასთან, რა თქმა უნდა, არ უნდა დაიკირ- წეოთ, რომ ეს სურათი და ეს ჭიმზი შეიძლება სულაც არ იყენებ ბერძნებდ მუსიკის და მხატვრობის შედერები, — ამდენ უმნიშვნელო რამეს გამოსხივობის ამასთან მეორე საუკუნის სედოვნებით ნაწარმოებთა შორის!..

(ზემდეგი იქნება).



კვირიდამ-კვირამდე.

1 ივნისიდან სინოდის კანტორიაში და უქადაგობის კანტორიაში მუშაობა იწყება დილის 8 საათიდან და თვედება 7 საათზე.

15 ივნისიდან შაბათობით სულ არ იქნება მუშაობა. ასე გაგრძელდება 1 ეკენისთვემდე. იყლისის და აგვისტოს განმავლობაში კანტორიაში სამი ოთხი სხდომა იქნება მხოლოდ სჩეკარო საქმეების გადასაწყვერად.

ყავლად სამღვდელო დაცით ალავერდელის თავმჯდომრეობის არსებული გამომცდელი კომისია მღვდლობის და დიაკონობის მაძიებელ პირთა გადატანილ იქმნა თფილისის სასულიერო სემინარიაში. ამას იქით კომისიის თავმჯდომარედ იქნება სემინარიის რექტორი, წევრებად ქართველი და რუსი მასწავლებლები.

სინოდის კანტორის პროტორი მ. პოპოვი სააგარაკოთ ქობულებში წავიდა.

9 ივნისს კოგნარის მღვდელს მ. ებნოძეს კანტორის სხდომაზე გამოუცხადეს, რომ მას ახდილი აქვს მღვდლის ღირება და ხელწერილი ჩამოართვეს, რომ არაფერს მღვდელ მოქმედებას აღარ შეასრულებს.

იმერეთის სამრევლო შეკლათა საბჭოს უმაღლესი მთავრობისაგან განკარგულება მოსვლია, რომ ერთკლასიანი შეკლები, სადაც ორი წლის კურსი იყო, გადააკეთეთ და ოთხი წლის კურსი იყოს. სადაც ეს არ მოხერხდება, იქ ან გააუქმდეთ შეკლა ან წერაკითხევის შეკლათ დატოვეთო. ამ ცვლილების გამო კომპლექტის რიცხვი შეკლებში გაამრავლეთ და ხარჯიც ამისცი მიხედვით გაანიჭილეთო.

დეპუტატ გეგ. გეგმებისადმი თავისუფალ მთაზრეთა წერილის ბირი უკეთდან.

ამ +—5 თვეს წინეთ ქ. კიევში მოქლული იუშინსკის პავშის გამო საშინელი განვაზი ასტრებეს შავრაზმელებმა. მემარჯვენე დეპუტატებმა შეკითხეა შეიტანეს სახ. სათათბიროში

და ამ მკვლელობას ებრაელებს აბრალებდენ. დეპ მარკოვი 2-ე, და ცნობილი პურიშვილი დარბევას პირდებოდენ ებრაელებს და პირდაპირ მოუწოდებდენ თავიათ თანამთაზრეთ „შაგრობი მოეხდინათ“.

აი, ამ ამბის გამო გუშინწინ დეპ. გეგე-კურმა მიიღო პირი იმ წერილებისა, რომელიც გამოუგზავნია უნევილან „თავისუფალ ანგერძანითხადურ მაუზრე „Komande“-ს საზოგადოებას“. სახელმწიფო სათათბიროს თავ-ჯდომარის როდზიან კოსათვის პეტრებურგში. მოგვყავს ეს წერილი.

„ბატონ თავჯდომარევ! ნება მოგვეცით გაუწყოთ შემდეგი დადგენილება, რომელიც მიიღო თავისუფალ მთაზრეთ საზოგადო კრებამ თავის წლიურ კონგრესზე (La Libre—Pensee Komande) უნევაში ოთხ ივნისს 1911 წ. ჩვენი კონგრესი ენერგიულ პროტესტს უცხადებს ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულ აკლების მზადებას, რომელსაც მთავრობის წარმომადგენელთა თვალწინ აწყობენ. ამიტომ კონგრესი სთხოვს სახელმწიფო სათათბიროს, იქნის გავლენა და მრიგლი ათასი უმწეო ებრაელი გაულერისაგან დაიხსნას“.

შეზიდენტი ადფრუდ რაფრედ.

მდიგანი დოტრი ნარქენ.

— როგორც „სახ. გაზ.“ ვკითხულობთ კავკასიის უნივერსიტეტის წინააღმდეგნი მინისტრთა საბჭოში ყოფილან შეკვლევიტოვი, კასო და სუხომლინოვი, მომხრენი სტოლიპინი და კოკივცევი.

21 ივნისს უეცრათ გადაიცვალა სოფ. აქარის (შორ. მაზ.) მღვდელი მ. სერაპიონ ჩიხლაძე. განსვენებული ახალგაზდა იყო და პენისას დაუმსახურებელი. ტატარ შეიტი წერილი ქალ-ვაჟი, რა თქმა უნდა, უკიდურეს სიღარიბეში. აი სად არის საჭირო ფართო დახმარება. ჩვენი სამარხი კასა რომ მოქმედებდეს, უოტა რამ დახმარება მინც აღმოუჩდებოდა საცოდივათ დარჩენილ რჯახს.

უ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსა გიორგიმ შაბათს პანაშვილი გადაიხადა სობოროს კრებულით, ხოლო კვირას ქალაქის სამღველოებითურთ სწირა და პანაშვილიც გადაიხადა დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახლენებლათ. წირვის შემდეგ, პანაშვილის წინ მისმა მეუფებამ შესაფერი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. საზოგადოება, განსაკუთრებით ნასწარი, სამწუხაროთ ძრიელ უოტა დაესრო. მისი მეუფების სიტყვა შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.



პატიკოს დაბადებაზე.

ამაღლდა სული დაღონებული;
რაღაც უცნაურს ვგრძნობ მე სიამეს;
ერთი მებრძოლი შემოემარა
ამ ჩემს დაჩაგრულს სამშობლო მხარეს.

იმისი ნანა სულ სხეა იქნება,
მას არ ვუსურებ ძილს, განსვენებას,
აკვნის რწევაზე ნელად უუმღერებ
ჩვენი სამშობლოს უბელურებას.

რომ სიყრმიდგანვე მოხვდეს იმის გულს
თუ რა მნელი სხეისი მონება,
თავისუფლების სხივით აენთოს
ჯერ კიდევ ნორჩი, სუსტი გონება.

და იგრძნოს შემდეგ ვაუკაცობისას
ერთი წინაშე ღვთიური ვალი,
არვის ემონოს და დაჩაგრულს ძმებს
მისცეს გზა ფართო თავისუფალი.

იყერიელი.

მაგის რა პრალია?

(ფსიხოლოგიური ეტიუდი საჭირო ცხოვრებიდან).

თიბაოვის ცხელი დღეები იდგა... კა სარკესავით მოწმენდილიყო და ეს შეაში გაქონდა; ლრუბლების ნატამალიც არ მოსანდა მის სიკუცეში; მხოლოდ ხანდისხან მაღალ მთის წვეროზედ გამოჩნდებოდა ლრუბლის ნაჟერი და ისევ მაღალ გაქერებოდა, მიმალებოდა, იქ, სადღაც შორს, ზესკნელში. იქითავეთ სვანეთს უზარმაზარი მოები ამაყად გადასცემოდება. დიდი ხანია; რაც ამ მთებს არ გადაუძლიათ თავზე ნისლის ზეწარი და ეხლა, დარწმუნებული თავიანთ სიმშვენიერებში, თითქოს გვეუბნებიან: „მოლით დასტებით ჩვენის სილამაზით, სანამდის დრო გაქვთ, თორებ მაღალ ისევ ნისლითა და ბურით შევიმოსებითო!..“

დიახ, მთებს მართლა გადაეხადათ ზამთრის ზეწარი და შევენიერ სანახაობას წარმოადგენდენ... პატარა დიდს შექსაროდა და დიდი პატარას, გამდნარი თოვლის წყალი ჩხრიალ-კრიალით მირბოდა ბარისაყენ, თანდათან დიდდებოდა და, ბოლოს, უერთდებოდა გამხეცებულ ინგურს, რომელიც ათას ნაჩერებს ისროდა, ქვიდან ქვაზე ქურციკით ხროდა, ჰქითდებოდა, იკვრებოდა ბურთივით, იბნეოდა წვრილ ნამად და ნაზი ფერადით იქრელებულ ბალახიან ველებს ოწყავდა, თან გაქონდა მედიდური გრიალი რომელიც ხანხმი ძინდობით გაქიოდა და ხან მიღუმდებოდა, თითქო ისენებს, და იქაურიბის აღვიძებდა. ლატფარის მთაც ამავე სანახაობას წარმოადგენდა; ის თავის სიმაღლიდებან სიაშაყით გადმოსცეროდა არმარქს და ლილის მზის სხივების გვირგვინი შემოვკრიფა: იქან ვაკეებში, სადაც მზეს თავისი სხივები საქმიანისად ვერ მიეწვდინა, ისევ დარჩენილიყო თოვლი და იქაურიბის სულ სხვი ფერს აძლევდა. წმინდა ან-

კარა წყაროები ჩიმოჩეჩჩებდნენ და ჩაღაცა გამოუთმელი სიტებოებით უალერსებდნენ კაცის ყურს; მთის ჩიტებსაც გამოელვიძნათ და კიკვიკით ქებს უძლვნიდნენ ბუნების ძალაგამჩნენს. შევენიერი ლდე იყო, ერთი იმისთანა დღეთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰვას და სიამოვნებას აღუძრავს მთელს სხეულში. სიჩუმე მეფობდა, რომელსაც ხანდისხან არღვევდა მდ. ინგურის ლრიალი და ყორნის უშინ დამაღლებელი ყრანტალი. სანატრელია ამ დროს ამ აღვილებში ყოფნა. მათ იმისთანა ზედგავლენა აქვსთ კაცებდ, რომ ეს უკანასკენელი უნებლივით ემორჩილება მათ ბუნების ძალის და სიამოვნებას ეძლევა; ისინი ამ გვარად არამც თუ მარტო აღამიანზედ, არამედ პირუტყვებზედაც კი მოქმედებენ. მართლაც, როგორ არ უნდა მიიჩიდოს პატიოსანი პირუტყვები მსუქანმა, ნოყიერმა, მწვანე ბალახმა, შემცულმა ათას ფეროვანი უკავილებით და სურნელებით? როგორ არ უნდა მოხიბლონ ამ გვარმა აღვილებმა მათი გული?

აგრე უცერად ერთს ფრიალო კლდის წვეროზედ გამოჩნდა ხარლალი, რომელიც ისე გამოიზნიერ კლდეზე, რომ კაცი იფიქრებდა—გადმოვარდნას პირებსო; შაგრამ ის ერთბაშით შედგა და ამაყად დაიწყო იქაური ცეკვა. რა თავისუფლებასა პერინობდა ამ დროს ეს პატიოსანი პირუტყვი, მკითხველო!... მე და შენ როდის ველირსებთ ამ გვარ თავისუფლებას! ამ დროს მისი გული გარდა ნეტარებისა, პატიოსნებისა, უმანკოებისა, თავისუფლებისა, სიყვარულისა და გულწილობისა არა რას გრძნობდა, მის გულში არ პერინდა აღვილი არც მტარვალობას, არც უსამართლოებას, არც სხვა რამ ცუდ აზრებს! მას ამაყად აელო მაღალი თავი და თითქო ლმერთს მაღლობასა სწირივდა თავისუფლების მონიკებისათვის, შემდეგ ხან ძირს დაუშვებდა თავს და ხან მაღლა ასწევდა. გავიდა რამოდენიმე წიმი და იმავე კლდის წვეროზედ გამოჩნდა ჯიხვის ჯაფი, რომელიც ისეთს შევენიერს სანახაობას წარმოადგენდა, რომ აღამიანს რაც უნდა წყლელი გული ჰქონდა, დაამშეიღებდა. ჯაფი

მოწინავე ჯიხვის თაოსნობით პატარა ხანს შეჩერდა, შეუშეირა გული გამაგრილებელ ნიავს, მერმე იქით აქეთ გაიფანტა, ერთი კლდოდან მეორეზედ გადახტა და ბალას დაუწყო წიწკნა; ეს გადახტომ-გადმოხტომა ისე მარდათ ხდებოდა, რომ კაცს გააკეირებდა; პატაწინა ჯიხვებიც დიდებს ჰბაძავდენ და თავისუფლად ნავარდობდენ. აგრე, ერთს ადგილას პატაწინა ჯიხვი შეჩერდა, რადგან მეორე ადგილას გადახტომა ვეღარ მოახერხა, და ცტერუნი შექმნა; უფროსი ჯიხვი მოუბრუნდა, წაუწოდა თავისი მოკაუჭებული მსხვილი რქები, პატარამ თავისი მხრით მოსდომ რქები უფროსის რქებს, ამ უკანასკნელმა ასწია მაღლა თავი და ერთი თვალის დახამხამებაში თავისი საყვარელი შეილი მეორე ადგილას გადმოსვა; ისინი მხიარულებაში და ნეტარებაში იყვნენ... ბურებაც მხიარულობდა და ხელს უწყობდა მათ.

კაცი რომ შორიდან ამ მთის ქედს კარგათ დააკეირდეს, შეამჩნევს დაკლაკნილ ვიწრო ბილიკს, რომ ლითსიარული, თუ არა შეჩვეულ სევას, სხვას ძალიან გაუჭირდება. აი სწორეთ, ამ გზაზედ იმ დროს, როდესაც პატიოსანნი პირუტყვნი ნეტარებაში იყვნენ, გამოჩნდა ორი ჩრდილი; მოწინავეს მოხერხებული და დინჯი სიარული ამტკიცებდა, რომ ის ამ მთის შვილი უნდა ყოფილიყო და მამაკაცის სქესს ეკუთხნდა, იგერ მგზავრნი ისევ ჩამოეფარნენ გორაკს, მერმე კიდევ გამოჩნდნენ და იმავე სახით განაგრძეს სიარული. ერთს, ოდნავ ჩაღრმავებულს ადგილს რომ გაუსწორდნენ, მოწინავემ თავისთვის ჩაიბურდურა „შვენდაბავ ჯარს“ (შეგინდოსთ ღმერთი) და გაუდგა გზას. ორნივე მგზავრნი დალონებული მიაბიჯდენ, ხმას არ იღებდნენ და სახეზედ მემუნვარება ეტყობოდათ. აშერა იყო, რომ ორივეს რაღაც დარდები აწვათ გულზედ. როდესაც მგზავრები მიუახლოვდენ იმ ადგილს, სადაც ჯიხვის ჯოგი იყო გაფანტული, უცბათ მოწინავე ჯიხვები ასწია თავი მაღლა, იმაყალ გადახხდით იმ მხიარულნ, სიიდანც მგზავრები მოდიოდნენ, მერმე რაღაც უცენებოდა და ბურებაც მათ მთის წვერს, სადაც ერთს ადგილს თრი ქვა ჯვარედინათ, ესე იყი გარდი-

ამოუშვა, გაიქნია თავი, მრისხანე სახე მიიღო, თითქო ემუქრებოდა თავის ნეტარების დამარცვებს და აუდგა აღმართს მას დაედევნა მთელი ჯოგი და რამოდენიმე წუთის შემდეგ მიიმალა. მგზავრებმა ძალაუნებურად მოჰკრეს თვალი ჯოგას, მაგრამ ორნივე ისე შეეცყრო რაღაც ფიქრებს, ორნივე ისე დალონებულნი მიიღოდნ, რომ არც ერთმა არ მაქტია მას ყურადღება. სვანი ძნელათ თუ გაუშვებს ხელიდება ამისთანა შემთხვევას, რომ არ ისარგებლოს მით და რომ ერთი „ნათხვიარე“ (ნანადირევი) მაინც არ გადმოაგოროს, მაგრამ აქამდის არ სცალდა ჩვენს მგზავრებს. ისინი სულ სხვაზე ფიქრობდენ. რა იყო მიზეზი მგზავრების მემუნვარებისა, ჩაფიქრებისა? რას შეეცყრო ორთავეს გული? ქალის წყნარი, ზარი სიარული, მოდილო მუცელი, დამჭლევებული ლოყები და წითელი ცხვირი ამტკიცებდა, რომ ის არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო... დიას ის ამ უამაღ ივალმყოფი იყო... მაგრამ განა ივალმყოფობა ამისთანა დას დაასვამს ადამიანს?! ის ნელნელა მიაბიჯებდა, ხან, რომ ვეღარ შესძლებდა სიარულს, შესდგებოდა, ხან გაუჩქარებდა ფეხს, მაგრამ მალე დასუსტდებოდა და ისევ შეჩერდებოდა, ზოგინ დაქანული დაეცემოდა დედა მიზაზედ და ქიოთის მოჰკვებოდა. როგორც გამოკიდება ამტკიცებს, ყოველგვარ მწუხარების ცრემლები უფრო შეამსუბუქებდნ ხოლმე, საცოდავი ქალიც ამ აზრს დასთანხმებოდა და ღაპალუპით გადმოუშებდა ხოლმე ცხარე ცრემლებისა. ამ მდგომარეობაში რჩებოდა ის, სანამ თანამგზავრი, მისი მხა ზურაბი, არ დაუბრუნდებოდა უკან და არ ააყენებდა, ისეც ლანდლა-გინებით.—ახია შენზედ ეგ წვალება, ახია! პატიოსან ოჯახის შერცხვენისთვის შენ ყველაფერი გმეუთვნის არავითარი სატანჯველი არ არის შენთვის დილი! ახია, გეკუთვნის!—ამ სიტყვებზედ ძმა წამოაყენებდა დას, რომლის პასუხი ვაება და ქიოთინილა იყო, და გაუდგებოდნენ გზას. ამ ვაი ვაგლახით ააღწიეს მათ მთის წვერს, სადაც ერთს ადგილს თრი ქვა ჯვარედინათ, ესე იყი გარდი-

გარდო, დაედოთ. ზურაბმა მოიხადა ნაბრის
ქუდი, პირჯვარი გამოისახა და სოქვა სვანუ-
რათ: „დიდებუ აჯხელა ხოშა ღერბათ, ერე
ამავი მშვიდებათ აწუხ!“ (დიდება შენდე მა-
ლალო ღმერთო, რომ აქამდისინ მშვიდობით
მოგვიყვანე!) მისს მაგალითს მიჰევა ქალიც და
შემდეგ ორივე დაეშვენ თავდალმართზედ. აქ
ბუნება იმავე სილამაზით იყო შეძეული, რო-
გორც მთის მეორე მხრით. რამოდენიმე ხნის
სიარულის შემდეგ მგზავრებმა წყაროს მა-
ხლობლათ მოისვენეს. ამშვანებული ბალახი
იქაურობას ავშვენებდა და სუნნელოვანებასა
ჰფენდა. ან კარა წყაროს ჩუხჩუხი მეღრად გაი-
სმოდა და ბუნებას აღვიძებდა; წყაროს მოშო-
რებით გაღმა მეორე მხრით თოვლის წყალი
გადალილა კლდილგან ხმაურობით, ჩანქერად
იქცეოდა, გზაზედ წვრილს ნამებად იქცეოდა,
კლდის ნაპირებსა რწყავდა და ხევამდე ვერა
აწევდა; ამის მეონებით აქა-იქ ბალახებს ამო-
ეყოთ თავი და თითქმ გადმომჩეულარე წყალს
შექხარიან და მადლობას უძღვნიან იქით-აქეთ
ირეოდნენ. ამ ადგილს ისეთი მაღალი მდე-
ბარება უკირავს, რომ იქიდგან ხევში გადა-
ხედვა ძნელა, კაცს თვალებს აუკრელებს და
შიშის ურუანტელი მთელს სადეულში
დაურჩენს. მგზავრებმა გაიგრილეს გული
ცივი წყლით და მერმე იქვე მოშორებით ჩა-
მოსხდნენ; ქალი წამოწვა თუ არა იმ წამსვე
საშინელი ქვითინი მორთო; ქვითინზედ კენება
მოჰყავა, გული მალ-მალ უცემდა და თვისუფ-
ლათ მოსუნთქვას უშლილი. ვინ იცის, მკი-
თხველო, რასა ჰვრძნობდა იმ ღროს ეს საწ-
ყალი სუსტი არსება?.. ვინ იცის, რა ფუქ-
რებს შეეპყრო იმისი გული? ვინ იცის, რა
სტანჯველი მის, რა ჰქეჯილი მაჯლაჯუნასა-
ვით?...

მღვდ. ა. მარგარინი.

(შემდეგი იქნება).



† ნეპარლობი.

20 იგნისს ქალაქ თფილისში გარდაიცვა-
და ცნობილი ქართველი კაპიტალისტი და დი-
დი ქველმოქმედი დავით ზაქარიას აქ სარიჯი-
შვილი. განსვენებულს თავის ქველობმედით
ბევრ გაქირვებულისთვის მოუხოცნა მწუხა-
რების ცრემლი, ბევრი ქართველი სტუდენტი-
სათვის მიუცია საშუალება კურსის დამთავრე-
ბისა, რისთვისაც განსვენებულს ცალკე სტი-
პენდიები ჰქონდა დანიშნული. თვის ქარხანა-
ში მომუშვეებთვის, როგორც გაზეუბილან
ვკითხულობთ ნამდვილი მამა და მზრუნველი
იყო. უ თფილისს ქალაქის თავი თავის სი-
ტყვაში მიკვალებულის ბინაზე აღნიშნავს თუ
რა მიღებული მოღვაწე და მოქალაქე დაჭყარ-
გა ქალაქში და რა საუცხოვო ერთგული შვი-
ლი დაკაუგა საქართველოს დ. ზ. გარდაცვა-
ლებით. ლავით ზაქარიას აქ ნ. მდვილი ქართ-
ველი იყო, სამშობლო ქვეყნისა და ერისად-
მი გულწრფელი სიკარულით გატაცებული.
იმისი ფიქრი მუდამ იმისაკეთ იყო მიმართული,
თუ როგორ აეყვავებინა სამშობლო ერი. მან
დაგვიმტკიცა, რომ შეიძლება კაცი ნამდვილი
ევროპიელი იყოს კომისარიტი და თანაც
ნამდვილი შვილი თავი, სამშობლოისა, ნამდ-
ვილი ქართველი. დიდ მწუხარებას განვიცდით
ასეთ მოღვაწის დაკარგით, მაგრამ სან უგე-
შოდ ისა გვრჩება, რომ პატარა ერების ხეედ-
რია ასეთ საუცხოვო პიროვნების წარმოშობა
და მომავალშიც იმ მოგვარებებს მათ.



ცოტა რამ ჩვთაისის სათავად-აზნაურო
ბანკის გამგეობის საუზრუდლებოთ.

24 იქნის განმეორებითი ვაჭრობა მოხდა აღვილობრივ სათავად-აზნაურო ბანკში იმ მამულებზე, რომელთა პიტრონებმა ვერ შეიტყონეს სველი სარგებელი. სანმ ვაჭრობა დაიწყებოდა, გამგეობა ასეთი „რეჩით“ გაუმასპინძლდა თავის გულგახეთქველ კლიენტებს: „ბატონებო! დღემდი თუ გიხარიდათ თქვენი მამულების ბანკზე დარჩენა იმ იმედით, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ფულს შეიტანდით და მამულებს უკან დაიბრუნებდით, დღეს ნულარ გიხარიათ, რადგან ასეთი წესით ამიერიდგან აღარ ისარგებლებს ბანკი. დღეს იქით დარჩენილ მამულებს ბანკი ჯერ თავის სახელზე დაიმტკიცებს და მხოლოდ შემდეგ გაპყიდის მეპატრონებზე, რომლებიც ამ ნაირათ იძულებულნი იქნებიან ერთხელ თავის სახელზე დამტკიცებული მამული ხელმეორეთ დამტკიცონო.“

კარგათ მოგეხსენებათ, რა გუნებაზე დადგებოდა ამ პატიოსან „რეჩის“ შემდეგ დამსწერ საზოგადოება და განსაკუთრებით ისინი, ვინც ფული ვერ შეიტანა. საზოგადოებაში უკანასკნელების ხმა გისმა: ეს როგორ შეიძლება, ეს უკანონსნობაა, თუ ასე იყო თავიდგანვე უნდა გამოგეცხადებით, რრი საში დღის წინათ გეცნობებიათ, რომ თავი ქვისთვის გვეხალა და ფულები დაგვემზადებით, ეხლა, ამ წუთში რა უნდა მოვახდესთოთ და სხ.

როგორც ხედავთ, დამსწრე საზოგადოების გულისწყრობა არ არის საფუძველს მოკლებული. თუ ასე იყო საქმე, თუ ეს, ეს ვსოდეთ, ბანკის ძირითადი კანონია, რომელიც დღემდის გამგეობის სიტყვით არ სრულდებოდა, რათ პირველ ვაჭრობაზე, 8 იქნის, არ გამოაცხადეს, რომ მსესხებლები მზათ მოსულიყვნენ მეორე ვაჭრობაზე. მაგრამ ეტყობა, კანონიც ახალი გამგეობის სარგებლის მიერ უფრო.

ბიც უვიცი მოხელეები, რომელსაც არ ესმის არც ბანკის სარგებლობა და არც მსესხებლების. რომ ღმერთი გასწყრეს და ეს უსულგულო კანონი გამგეობამ განახორციელოს, ეს ბანკის სიცოცხლის მოსწრაფება იქნება, მისი სიკვდილის დღის მთაბლობის მომახატვებელი წინამორბედი. ჯერ ერთი, რომ ყველა დარჩენილი მამულები ბანკმა თვის სახელზე დაიმტკიცოს, საჭიროა დღესვე ხაზინაში წარადგინოს 150,000 მანეტზე შეტი ნაღლი ფული და ეს (ორა ზარალს არ შეადგინს ისეთი ბანკისთვის, როგორიც არის ჩვენი სათავად-აზნაურო. მეორე, ბანკზე დარჩენილი მამულების რიცხვი ერთი ორათ იმატებს, რადგან მსესხებლები ვერ შესძლებენ დამტკიცების სარჯი უზღონ ბანკს და ამდენივე კალევ დახარჯონ ახალ დამტკიცებაზე ხოლო რა სარგებლობა მთაქვს ბანკისთვის დარჩენილ მამულებს, ეს ყველამ კარგათ იცის. ამნაირათ ახალი კანონი ბანკის ახალი გამგეობისა არც ბანკისთვის და არც მსესხებლებისთვის სასარგებლობა არ არის და ორივეს კი ბევრს აზარალებს. ხაზინისთვის კი დიდი ხელსაყრელია და იმიტომ ევვი არ გვაქვს, რომ ამ კანონის დაძალება პ. მართებლობის წარმომადგენელის საქმე უფრო. მაგრამ არ გვესმის გამგეობის ასეთი უკრძალვილი მონობა, მონობა, რომელიც იმდენათ შეუწყნარებელია, რამდენათაც ბანკისთვის საზარალოა. ჩვენი იზრით წარმომადგენელს უფლება არა აქვს ახალი წესები შეიტანოს ბანკის წარმოებაში და არც გამგეობა ვალდებული ინგრიში გაუწიოს მის დირექტორებს. ბანკს შეექლო და დღესაც ვერავინ წართმევს იმ უფლებას, რომ დარჩენილი მამულები, როცა უნდა მაშინ დამტკიცოს, უფლება იქვე იმისიც, რომ მსესხებლები არ წაახჩის, არაშედ ცოტა რამ შეღავათი მისცეს მით უფრო, რომ აქ ბანკი არაფერს ავებს, რადგან ფულის სარგებელი არ ეკარგება.

გამგეობის არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ბანკი საკრედიტო დაწესებულებად და არა მემტულე, მას მსესხებლები ეჭირვება და არა

დარჩენილ მამულების გადიდება, უნდა ახსოვდეს, რომ ბანკის სულის ჩამდგენლი მსესხებლებია და რამდენათაც ესენი მეტია, იმდენათ ბანკი ძლიერია, ამიტომ მსესხებლებს მეტი ყურადღებით უნდა ეცყრობოდეს და ყოველგვარ შეღავათს აძლევდეს, რომ მათი გული მოიგოს და არა აფრთხობდეს ისეთი ურჩებით, “როგორითაც იგი გაუმასპინძლდა მათ 24 ინის. იმედი უნდა ვიქინონთ, რომ გამგობა და კვირდება ბანკის ხაშიშ მდგომარეობას და უკან წაიღებს თვის სიტყვებს. იმედი უნდა ვიქინონთ იმისიც, რომ გამგობა არ და-ენდობა ყაველ მტერ-მოყვრის რჩევას.

სედი.



კიდევ დიდუბის ეკლესიის შესახებ.

ტფილისის გაზეთებში გამოქვეყნებულია კანტორის დადგნილება დიდუბის ეკლესიის შესახებ. ეკლესია სამრევლოდ არის გამოცხადებული, მრევლი იქნება არეული, ე. ი. ქართულ-რუსული; ამიტომ ღვთის მსახურებაც ამ ეკლესიაში ორივე ენაზე უნდა შესრულდეს.

დიდი მოთქმა მოთქმა იყო საზოგადოება-ში და გაზეთებში დიდუბის ეკლესიის გამოსისეთებიც კი ლაპარაკობდნენ და სწერდნენ ამ ეკლესიის შესახებ, რომელთაც დიდი ხანია კავშირი შესწყვიტეს ეკლესიასთან, სარწმუნოებასთან და ეროვნებასთან... კანტორის დაფუნილებით, ჩვენ ვფიქრობთ, ერთნაირი უფლება ენიჭება დიდუბის ეკლესიის ქართველ და რუს მრევლის; მხოლოდ სიკითხი ის არის, როგორ ისარგებლებო ამ უფლებით რუსები

და ქართველები! თუ ქართველები წელიწადში მხოლოდ ერთხელ მივიღნენ ეკლესიაში 8 ენ-კენისთვეს, ან მხოლოდ ორშაბათ საღამოობით, როცა მხოლოდ პარაკლისებს ხდილობენ ხოლმე, რასაცირველია, მაშინ რუსებს ნება ექნებათ მოიხოვონ. რუსული წირვა ყოველთვის. ვის უწიროს მღვდელმა ქართულად, თუ ქართულის მომსმენი არავინ იქნება, რად დახარჯოს ეკლესიაში ფული ქართული გუნდი მიწვევაზე თუ გალობის მომსმენი თვითონ მკალობელივე იქნება? ერთისიტყვით, მომავალი სკებედი დიდუბის ეკლესიისა დამკიდებულია მრევლის ქართული ნაწილისან და კრებულის ქართველ წევრთაგან, როგორ პირებს ამოირჩევს ქართული ნაწილი მრევლისა სამზრუნველოს წევრებად, როგორ მუყაითად იყლის ეს მრევლი წირვა ლოცვაზე, როგორ მოიქცევიან კრებულის წევრები წირვა ლოცვის შესრულების საკითხში, ყოველივე ეს დაგვანახვებს რაყდენად მხერვალედ მორწმუნენი არიან დიდუბელი ქართველები, შესძლებენ თუ არა ისინი მეტოქებას რუსებთან და რავდენად საქმიანი და სარწმუნოებრივ ეროვნული გრძნობით იყო გამოწვეული დიდუბის ეკლესიის გარშემო ატენილი ტყება — ტირილი.

არადიდუბელი.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მცედლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჭავა.



განცხადებანი:

„შინაურ საქმეების“-ს რედაქციაში იყიდება:

ალიროვის უფლებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (ВѢДОМОСТИ) წლიური საბლაობინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „მმობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწყვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხელი ფული უნდა გაიოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ქუთაისი, Правленіе религіозно-Просвѣтительного „братства“.

Ольденбурская д. № 5.

ამაღლების საზოგადოების მამასახლისათვის ამით აცხადებს, რომ სოფ. ამაღლებაში, სადაც ახლა ერველ ქვირას ბაზრობაა, წელიწადმი ერთსეულ 15 ამ დამლევ მართობისთვის მდი მთავრობის ნებართვით მოხდება საზოგადო დიდი ბაზრობა.

იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

გამოცხადების მეფუტებეთა საზოგადოების გამოცხადების მიერ მედგრენილი, წიგნი დაჯილდოვებულია იქმოს

ფულაბილი გეორგი გრიგორიელი.

აპ. ფულაბის მიერ მედგრენილი, წიგნი დაჯილდოვებულია იქმოს
მენდალით. მიიღება დასაბეჭდათ მხოლოდ სამეურნეო ხასიათის განცხადება. წიგნის დაკვეთა და განცხადების შეგვეთა შეიძლება კავკას. მეფუტების სახ. თავმჯდომარის სახელშე. (ტფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. პლატონ მის. ლორთქიუანისტან). წიგნის ფასი ცალკე იქნება გამოცხადებული..

—→ (Типографія Хеладзе въ ქутаїсі.) ← —